

## ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

### ო ქ მ ი #2

ქ. ონი

14 თებერვალი 2018წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

**ბიუროს 10 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 8 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, ვასილ მეტრეველი, გივი მეტრეველი, გორა მეტრეველი, ვანო ბალაშვილი, გიორგი მარკოიშვილი, გელა მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე.

**არ ესწრებოდა:** ბაჩანა მარკოიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე მერაბ ორდინიძე, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ტურიზმისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი დავით რაზმაძე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულები მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

*/მომხსენებელი: ე. საბანაძე-მუნიციპალიტეტის მერი,*

*თანამომხსენებელი-დ. რაზმაძე/*

2. ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*/მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/*

3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*/მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/*

4. „ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*/მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/*

5. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური, განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2017 წელში გაყიდული ქონების შესახებ.

*/მომხსენებელი: ვ. ბალაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/*

6. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2017 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

*/მომხსენებელი: ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/*

7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*/მომხსენებელი: ვ. მეტრეველი-ფრაქციის თავმჯდომარე/*

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს:** 1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულები მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

*/მომხსენებელი: ე. საბანაძე-მუნიციპალიტეტის მერი,*

*თანამომხსენებელი-დ. რაზმაძე/*

დ. რაზმაძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

საკრებულოს აპარატის იურისტმა ნინო ჯმუხაძემ განმარტა, რომ მიწის განსხვავებული ნორმატიული ფასის განსაზღვრა შესაძლებელია „საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეაქრიაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 ნოემბრის #968 ბრძანებულებით, რადგან ონის მუნიციპალიტეტის კურორტები არაა მოხსენიებული აღნიშნულ ბრძანებულებაში, მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე განსხვავებული ფასის განსაზღვრა კურორტებზე არ შეუძლია. ვ. ბალაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების ცხრილში ონის მუნიციპალიტეტის კურორტებში მითითებულია სოფ. გლოლა, რაც არამართებულია, რადგან გლოლა არ არის კურორტი და შესაბამისად, მიწის ნორმატიული ფასიც შესაბამისი უნდა განისაზღვროს. დ. რაზმაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომაზე საკითხი განსახილველად შემოვა გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 2. „ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*/მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/*

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილებაში მოხდა მექანიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ ტექსტის კოპირებისას ჩამოეჭრა მერის ერთი წარმომადგენელი, ამიტომ გახდა აუცილებელი ცვლილების შეტანა და აღნიშნული ხარვეზის გასწორება.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:**3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*/მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/*

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი .ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ აღნიშნულ კომისიაში ლევან შერაზადიშვილის ნაცვლად შეყვანილ იქნა ალექსანდრე ბერიშვილი.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:**4.„ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*/მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე/*

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ წარმოდგენილი კომისიის თავმჯდომარედ ლევან შერაზადიშვილის ნაცვლად არჩეულია სონია გუგეშაშვილი.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 5. .ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური, განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2017 წელში გაყიდული ქონების შესახებ.

*/მომხსენებელი: ვ. ბალაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/*

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური, განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2017 წელში გაყიდული ქონების შესახებ.

**გადაწყდა:** ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 6. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2017 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

*/მომხსენებელი: ს.ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/*

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია 2017 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

**გადაწყდა:** ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*/მომხსენებელი: ვ. მეტრეველი-ფრაქციის თავმჯდომარე/*

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ წესდებაში ცვლილება გამომწვეულია ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების დამატებასთან დაკავშირებით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ ბიუროს წევრებმა ისაუბრეს ქ. ონში ავარიულ სახლებთან დაკავშირებით, კერძოდ ისრაელში მცხოვრები მოქალაქეების კერძო საკუთრებაზე, რომელთა გარკვეული ნაწილი დაზიანებულია და საფრთხეს შეიცავს ქუჩაში მოსიარულეთათვის. ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ საფრთხიდან გამომდინარე მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე მფლობელთან შეთანხმებით შესაძლებელია ადგილობრივი ბიუჯეტით ასეთი ავარიული სახლების დემონტაჟი და ნანგრევების გატანა. ს.გუგუშაშვილმა ისაუბრა აღნიშნული ქუჩის რეაბილიტაციის მნიშვნელობაზე ტურისტული თვალსაზრისით და აღნიშნა, რომ თუ არ მოხერხდება ბაზოვის ქუჩის რეაბილიტაცია, იქნებ გამოიძებნოს თანხა, მსოფლიო მნიშვნელობის პიროვნებების დავით და გერცელ ბაზოვების სახლის რეაბილიტაციისათვის, თუნდაც ფასადური თვალსაზრისით, რაზეც ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე გაცილებით პრიორიტეტული საკითხების დაფინანსება ვერ ხერხდება ბიუჯეტის სიმცირიდან გამომდინარე, კერძო საკუთრებებს კი მიხედონ მფლობელებმა.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე